

### სატელეკომუნიკაციო მომსახურებების დამატებით წესები და პირობები

- ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია დაფაროს დავალიანება (ასეთის არსებობისას) და დააბრუნოს დროებით სარგებლობაში გადაცემული კომპანიის კუთვნილი მოწყობილობები/ტექნიკური საშუალებები. ხელშეკრულების, როგორც დავალიანების გამო კომპანიის მხრიდან - შეწყვეტის დღემდე, ისე აბონენტის ინიციატივით შეწყვეტისას - შეწყვეტის დღესვე მოწყობილობების დაუბრუნებლობის შემთხვევაში, აბონენტს დაერიცხება შეწყვეტის დღისთვის არსებული მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულება. ამასთან, დარიცხვიდან ერთი წლის განმავლობაში აბონენტს აქვს უფლება დააბრუნოს მოწყობილობა გამართულ (მუშა) მდგომარეობაში. აღნიშნულ შემთხვევაში, აბონენტს დაუკორექტირდება მოწყობილობების დაუბრუნებლობისთვის დარიცხული თანხა.“